ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1816360

ნომერი: AR1294239

თარიღი : 16.03.2015

გაცემის თარიღი : 01.04.2015

გაცნობის თარიღი : 02.04.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 27 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვლადიმერ ფირცხალავა პ/ნ 01008024732
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 58 ბ. 17

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილებისა შეტანის თაობაზე

მოქალაქე ვლადიმერ ფირცხალავამ 16.03.2015 წ. #AR1294239 განცხადებით მომართა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურს და მოითხოვა სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა განაშენიანების რეგულირების ხაზის კორექტირებასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექურის სამსახურის მიერ 30.12.2010 წ. აკაკი წერეთლის გამზირზე #27-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.14.11.024.012, ფართობი: 1267) მრავალფუნქციური (საცხოვრებელი–საოფისე)

შენობა–ნაგებობის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

ზემოაღნიშნულ პირობებით მიწის ნაკვეთზე სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელი გახდა წერეთლის გამზირის მხრიდან 3 მეტრი, ხოლო ფოთის ქუჩის მხრიდან 1.5 მეტრის განაშენიანების რეგულირების ხაზის გათვალისწინებით, რომელიც დაფიქსირებული იყო საკადასტრო გეგმაზე.

განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, საიდანაც ირკვევა, რომ რეგულირების ხაზები და ზომები არის შემდეგი: წერეთლის გამზირის მხრიდან – (1) ღერძზე 2.3 მ და (6) ღერძზე 2.8 მ მეტრი ხოლო ფოთის ქუჩის მხრიდან (ა) ღერძზე 1.3 მეტრი და (ზ) ღერძზე 1.6 მეტრი..

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან შეთანხმებულია საპროექტო დოკუმენტაცია და გაცემულია მშენებლობის ნებართვა, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა, შეიტანოს ცვლილება სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ დაკორექტირდეს განაშენიანების რეგულირების ხაზი წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ, დაკორექტირდეს განაშენიანების რეგულირების ხაზი: წერეთლის გამზირის მხრიდან – (1) ღერძზე 2.3 მ და (6) ღერძზე 2.8 მ მეტრი ხოლო ფოთის ქუჩის მხრიდან (ა) ღერძზე 1.3 მეტრი და (ზ) ღერძზე 1.6 მეტრი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.12.2010 წ. #1805 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კ.მ. #6) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- I თავი ასახავს საფუძველმდებარე ინფორმაციას - საყრდენი მონაცემები მიწის ნაკვეთის შესახებ რომლის, ანრომელზე მდგომი შენობა-ნაგებობის განვითარებაც არის დაგეგმილი;
- II თავში მოცემულია ძირითადი მოთხოვნები (პირობები) - კანონმდებლობით უშუალოდ გათვალისწინებულივალდებულებები, მიწის ნაკვეთის (და შენობა-ნაგებობის) სამშენებლო განვითარებაზე;
- III თავში მოცემულია დამატებითი ან/და სპეციალური მოთხოვნები, რომელიც გათვალისწინებულია„მშენებლობისნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57დადგენილებით, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27მარტის N4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ.თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა დაგანაშენიანების რეგულირების წესებით“ და სხვა მოქმედი ტექნიკურირეგლამენტებითა და ნორმატივებით;
- IV თავი შეიცავს ზოგად ინფორმაციას მშენებლობის ნებართვის II და III სტადიებთან დაკავშირებით.